

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, შოთა შენგელიას, ანგარიში 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2017 წლიდან დღემდე ვარ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი. უფლებამოსილების განხორციელების დღიდან ვარ ფრაქცია „პატრიოტები და მწვანეები ერთად“ წევრი, ასევე საკრებულოს ორი კომისიის „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის“, „ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრი. შესაბამისად, აქტიურად ვმონაწილეობ კომისიის სხდომებში, სადაც განვიხილავთ ინიცირებულ პროექტებს, მოსახლეობის წინადადებებსა და პეტიციებს.

საანგარიშო პერიოდში არაოფიციალური შეხვედრების გარდა მაქვს ჩატარებული გეგმიური შეხვედრები, სადაც განხილული იყო სხვადასხვა სახის პრობლემური საკითხები. მათ შორის გამოვეყოფდი მავნე მწერის, ფაროსანას უარყოფით ზეგავლენას სოფლის ძირითადი შემოსავლის წყაროზე-თხილის კულტურაზე, ასევე - პრობლემური სიტუაცია შიდასასოფლო გზებზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის, მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები სისტემატურად აწყობენ შეხვედრებს სოფლის მოსახლეობასთან, სადაც მიმდინარეობს წამოჭრილი პრობლემების გზების ძიება.

აღვნიშნავ, რომ ჩვენი სოფლის ხშირი სტუმრები იყვნენ წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მაჟორიტარი დეპუტატი, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, რომლებიც ადგილზე გაეცნენ სოფელში არსებულ პრობლემებს.

2019 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით სოფლის მოსახლეობას საჩუქრად გადაეცა 15 ერთეული შესაწამლი მანქანა, ასევე სოფლის სხვადასხვა უბანზე იქნა განთავსებული „ფერემონები“, რომლის შეწამვლა ხდებოდა სისტემატურად, რამაც კარგი შედეგი გამოიღო და რაც აისახა მოსავლის ხარისხზე.

მიმდინარე წელს ჩვენს თემში ჩატარდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები: სოფლის ცენტრში აშენდა ახალი ამბულატორია, კაპიტალურად შეკეთდა ადმინისტრაციული

შენობა, რემონტი ჩაუტარდა მეორე ჭოდის საბავშვო ბაღს, ლეხოზელესა და ლეჯვატეს უბანში ხიდებს გაუკეთდა ახალი სახელური, მოასხეს რკინა-ბეტონის საფარი, ასეთივე საფარი დაიგო სოფლის სხვადასხვა ადგილას, კერძოდ, აღმართებზე, დაახლოებით 200მ. სიგრძის, რომლის სამუშაოებში ჩართული იყო ადგილობრივი მოსახლეობა.

მიმდინარე წელს ასევე სოფლის პროგრამით სოფლის ცენტრში გაკეთდა სკვერი, ლეჯვატეს უბანში გაკეთდა 2 ხიდბოგირი, ლემარკოზეს უბნის მოსახლეობისთვის შექმნილ იქნა 800მ. სიგრძის მილი და წყალსაქაჩი ძრავი, ლედიხამინჯის უბანში რეაბილიტირებულ იქნა ელ. წისქვილი, ეკლესიის გზაზე ჩაიდო მილხიდი, ასეთივე გაკეთდა 3 სხვადასხვა უბანში, მოიხრიმა სოფლის გზები.

გაუსაძლის საბინაო პირობებში მყოფ სამ ოჯახს გამოეყო 3000 ლარის დახმარება.

ამჟამად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის პრობლემების ეტაპობრივად გადაჭრის გზების ძიება ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად.

2020 წლისთვის იგეგმება სოფლის მოსახლეობის გაზიფიცირება, რაც გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტში.

და ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობდა ამ პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს წევრი, ჭოდის თემის მაჟორიტარი დეპუტატი

შოთა შენგელია

05.11.2019 წ.